ჩვენი სოფელი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა

ივლისი/2016 ▪ N10

ნომერშია:

ერთიანი აგროპროექტი გვ. 2

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები ერთი ქუდის ქვეშ ერთიანდება

სურსათის ეროვნული სააგენტო გირჩევთ გვ. 7

სურსათის ეროვნული სააგენტოს რჩევები მოსახლეობას

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა გვ. 8–9

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამას იწყებს

მედიატური რაჭის რეგიონში გვ. 6

მედიის წარმომადგენლები რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში

DCFTA-ის გზამკვლევი გვ. 12

DCFTA-ის მოთხოვნები სურსათის მწარმოებლებისთვის

რჩევა ფერმერებისთვის გვ. 14–15

სტაფილოს აგროტექნოლოგია

საქართველო, თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6 ელ-ფოსტა: infomoa@moa.gov.ge ცხელი ხაზი (+995 32) 247 01 01

www.moa.gov.ge

ერთიანი აგროპროექტი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ „ერთიანი აგროპროექტის“ პრეზენტაცია გამართა. ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო.

„ერთიანი აგროპროექტის“ პრეზენტაცია სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ წარადგინა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიცირებით, სააგენტო არაერთ მასშტაბურ პროექტს ახორციელებს, რომელთა მიზანიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელშეწყობაა.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა დეტალურად ისაუბრა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე - შეღავათიანი აგროკრედიტი, საწარმოთა თანადაფინანსება, აგროდაზღვევა, დანერგე მომავალი, მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხული სამუშაოების ხელშეწყობა, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია. თითოეული პროექტი შემუშავებულია სამინისტროს მიერ დარგის განვითარების ერთიანი ხედვისა და სტარტეგიის გათვალისწინებით. პროექტების ფარგლებში, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს 1,000,000-მდე ადამიანთან ჰქონდა ინტერაქცია. დაინტერესებულ მოსარგებლეს საშუალება აქვს შექმნას პირველადი და გადამამუშავებელი აგროსაწარმო და დანერგოს აგროსტანდარტი. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მოსახლეობასთან კომუნიკაცია გახდა მრავალმხრივი.

კომუნიკაციის ეფექტიანობის გაზრდის, დაინტერესებული მოსარგებლისთვის საჭირო/შესაბამისი პროექტის/პროექტების ამოცნობის გასამარტივებლად, ერთიანი სტრატეგიის წარმოჩენისა და სწორი პოზიციონირებისთვის სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები ერთი ქუდის - „ერთიანი აგროპროექტის“ ქვეშ ერთიანდება.

გაწეული საქმიანობის შეფასების საფუძველზე, პროექტები მუდმივად იხვეწება და მიმართულებათა რაოდენობა იზრდება. საჭიროების გათვალისწინებით ხორციელდება ცვლილებები როგორც საკანონმდებლო, ასევე დაფინანსების მიმართულებით.

დაფინანსებულ საწარმოებში ინერგება HACCP და ISO22000:2005 სტანდარტები; მიმდინარეობს მუშაობა Global G.A.P. სტანდარტის დანერგვაზე. ჩამოყალიბდა კომპეტენციის ცენტრი, ჩატარდა კვლევა აგრარული დარგის მიმართულებით საჭიროებების გამოსავლენად; დაიწყო სასწავლო კურსები პროექტებით მოსარგებლეთათვის; იგეგმება თანამშრომლობა საერთაშორისო ფონდებთან, ასევე სააგენტოს მიერ დაფინანსებულ საწარმოებში სასწავლო ტურები დაინტერესული სტუდენტებისთვის. შეიქმნა ერთიანი სივრცე მოსახლეობასთან კომუნიკაციის გამარტივების და გაუმჯობესების მიზნით და ამოქმედდა ცხელი ხაზის ახალი ნომერი 1501.

დღეის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ განხორცილებული პროექტების ფარგლებში:

- გაცემულია 26 300 სესხი, მათ შორის, 24,426 სესხი, საერთო თანხით 693,960,821 ლარი და 1,874 სესხი, საერთო თანხით, 202,557,257 აშშ დოლარი;
- შეიქმნა 150 ახალი აგროსაწარმო;
- გაფართოვდა/გადაიარაღდა 700 პირველადი და გადამამუშავებელი აგროსაწარმო;
- დაეზღვა 200 000 000 ლარამდე ღირებულების მოსავალი;
- ყოველწლიურად დახმარება 700 000 - ზე მეტ მცირემიწიან ფერმერს გადაეცემა და მათ საკუთრებაში არსებული 200 ათას ჰექტარზე მეტი მიწა მუშავდება;

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი

აგროსექტორით საბანკო სისტემის დაინტერესება და მათი პროექტში ჩართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მიღწევაა. აღნიშნული პროექტის განხორციელებით, მეწარმეებისა და ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი გახდა იაფი ფინანსური რესურსი.

გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი

პროექტი მიზნად ისახავს პირველადი წარმოების გაფართოებისა და სოფლად დამატებული ღირებულების შექმნის ხელშეწყობას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის წინაპირობების გაუმჯობესებას, სანედლეულო ბაზის განვითარებასა და შედეგად სოფლის მოსახლეობის შემოსავლის ზრდას. პროექტი ითვალისწინებს დარგობრივად და გეოგრაფიულად დივერსიფიცირებული სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნასა და მათი მდგრადი განვითარების ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას.

აგროდაზღვევა

აგრარულ სექტორში წარმოების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა დარგში აგროდაზღვევის კომპონენტის დანერგვას გულისხმობს. აგროდაზღვევის პროექტის მიზანი აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირებაა.

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი

პროგრამის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, ფერმერებმა და გლეხებმა სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ მიიღეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი; პროგრამის ფარგლებში დამზადდა საბანკო ბარათი ე.წ. „აგრო ბარათი“. სამწლიანი პროგრამის განხორციელების შედეგად, პრაქტიკულად მიტოვებულ, ყამირად ქცეულ მიწებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება დაუბრუნდათ.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა „ქართული ჩაი“

საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება; არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია; ადგილობრივი ჩაის (მათ შორის, ბიო ჩაი) წარმოების ზრდის ხელშეწყობა და, შედეგად, ქვეყანაში თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა; ჩაის თანამედროვე, პირველადი გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა.

დანერგე მომავალი

საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიან გამოყენებას მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება ექსპორტი. შესაძლებელი გახდება თანამედროვე ინტენსიური ბაღების გაშენებით დაინტერესებული პირებისათვის იმპორტირებულთან შედარებით იაფი სარგავი მასალების შეთავაზება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ბაღების გაშენებას და მეხილეობის სექტორის რაოდენობრივ და თვისობრივ გაუმჯობესებას.

საჭიროების შემთხვევაში, სეზონურად ხორციელდება ვაშლისა და სამრეწველო მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობის პროექტი

გლეხებს და ფერმერებს მიეცათ სტიმული გაეაქტიურებინათ სასოფლო–სამეურნეო საქმიანობა; განხორციელდა არასტანდარტული მანდარინის შესყიდვის პროცესის ხელშეწყობა; მანდარინის შემსყიდველ კომპანიებს საშუალება მიეცათ შეღავათიანი აგროკრედიტით ესარგებლათ.

ატმის კრეფის სეზონი აქტიურ ფაზაშია

- ატმის კრეფის სეზონი აქტიურ ფაზაშია. წელს ატმის კარგი მოსავალია - წინასწარი, ოპერატიული ინფორმაციით, მოსავლის საერთო რაოდენობა 25-30 ათასი ტონა იქნება.
- ქ.გურჯაანში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ოფისში, ატმის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, შექმნილია ჯგუფი ფიტოსანიტარიული და საბაჟო სამსახურების წარმომადგენლების შემადგენლობით. აღნიშნული ჯგუფი „ერთი ფანჯრის“ პრინციპით უზრუნველყოფს საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას და გაცემას.
- 2016 წლის 20 ივლისის მდგომარეობით, ექსპო-რტირებული ატმის მოცულობამ 3754 ტონა შეადგინა, მაშინ როცა, გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელი 2453 ტონას შეადგენდა.
- ატმის ექსპორტი, ძირითადად, რუსეთის ფედარაციაში (74%), აზერბაიჯანის რესპუბლიკაში (14%), ყაზახეთის რესპუბლიკაში (10%), ასევე სომხეთსა და უკრაინაში ხორციელდება.
- 20 ივლისის მონაცემებით, დაახლოებით 15 000 ტონამდე ატამი ადგილობრივ ბაზარზეა რეალიზებული.
- კახეთის რეგიონში ატამს შპს „ქართული ხილის კომპანია“ იბარებს. აღნიშნულ სამაცივრე-სასაწყობე კომპანიას დღეში დაახლოებით 80 ტონამდე ატმისა და ვაშლატამას მიღება-დახარისხების შესაძლებლობა აქვს.

- კახეთის რეგიონში გახსნილია 20-მდე მიმღები პუნქტიც, სადაც ატამი/ვაშლატამა შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმით კონტროლირებად გადამზიდავ ტრასპორტში (ფურა მაცივრებში) იტვირთება და ექსპორტზე გადის.

20 ივლისის მონაცემებით:

- პირველი და მეორე ხარისხის (საექსპორტო/სარეალიზაციო) ვაშლატამას ფასი 80 თეთრიდან 1.4 ლარამდე, ხოლო ატმის 70 თეთრიდან 1 ლარამდე მერყეობს.
- მესამე ხარისხის, გადასამუშავებელი ატმის/ვაშლატამას ფასი 25-35 თეთრია.
- ატმის/ვაშლატამას ფასს ბაზარი არეგულირებს.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გოჩა ცოფურაშვილი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლებში ფერმერებს შეხვდა და ატმის კრეფისა და ჩაბარება/რეალიზაციის პროცესს ადგილზე გაეცნო.

როგორც ფერმერებმა აღნიშნეს, ცუდი კლიმატური პირობების მიუხედავად, წელს ატმის კარგი მოსავალია და არც რეალიზაციის პრობლემა არსებობს. „ქართული ხილის კომპანია“ მოსავალს შეუფერხებლად უბარებს და ფასიც მისაღებია, 60-80 თეთრი. გარდა ამისა, გახსნილია 20-მდე მიმღები პუნქტიც, სადაც ჩაბარებული ატამი პირდაპირ ექსპორტზე გადის.

სოფელ რუხში სასათბურე მეურნეობა გაიხსნა

სამეგრელოს რეგიონში, კონფლიქტისპირა სოფელ რუხში სასათბურე მეურნეობა გაიხსნა. პროექტი აფხაზეთის ა/რ მთავრობის ინიციატივითა და საქართველოში იაპონიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. სასათბურე მეურნეობის მოწყობისთვის 92 ათას დოლარზე მეტი დაიხარჯა.

ღონისძიებას სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, იაპონიის ელჩი საქართველოში ტოშიო კაიტანი, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის გუბერნატორი ლევან შონია ესწრებოდნენ.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ აღნიშნა, ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში საქართველოში სათბურების რაოდენობა 7 400 - დან 13 500-მდე გაიზარდა.

„აღნიშნული სასათბურე მეურნეობა საქართველოსა და იაპონიის მთავრობის ერთობლივი პროექტის ფარგლებში აშენდა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩართულობას შუწყობს ხელს“, - აღნიშნა ოთარ დანელიამ.

სასათბურე მეურნეობაში სხვადასხვა სახის ბოსტნეულის წარმოებასთან ერთად, კოლხური ბზის კორომებსაც გამოიყვანენ. მეურნეობაში დასაქმებულთა უმეტესობა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირია.

„საქართველო და იაპონია მჭიდროდ თანამშრომლობენ. იაპონიის მთავრობის ხელშეწყობით საქართველოში არაერთი პროექტი ხორციელდება. იაპონია მხარს უჭერს იძულებით გადაადგილებული პირებისთვის და რეგიონის მოსახლეობისთვის პროექტების განხორციელებას. აღნიშნული პროექტი, რომლის ფარგლებშიც სასათბურე მეურნეობა გაიხსნა, ხელს შეუწყობს რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს. აღნიშნული პროექტი ორ ქვეყანას შორის გადებული მეგობრობის კიდევ ერთი ხიდია“, - განაცხადა იაპონიის ელჩმა, ტოშიო კაიტანიმ.

ალოობა 2016 -კახეთში ხორბლის აღება დაიწყო

კახეთის რეგიონში ხორბლის აღება აქტიურ ფაზაშია. წელს თავთავიანი კულტურების კარგი მოსავალია. გასულ წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგებულია თავთავიანი კულტურების ნათესი ფართობები. საქართველოს მასშტაბით ხორბლის ნათესი ფართობები 80 000 ჰა-ზე მეტს, ხოლო ქერის 40 000 ჰა-ზე მეტს შეადგენს.

სოფლის მეურნეობის მინისტრი, ოთარ დანელია სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ წნორში ხორბლის აღების პროცესს დაესწრო და ფერმერებს შეხვდა.

„ალოობა ტრადიციულად კახეთიდან იწყება. უამინდობის გამო ხორბლის აღება ცოტა გვიან დაიწყო, მაგრამ ყველა სამსახური აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ მოსავლის აღება და დაბინავება შეუფერხებლად მოხდეს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო მარცვლეული კულტურების წარმოების ხელშეწყობის არაერთ მნიშვნელოვან ღონის-ძიებას ახორციელებს, მათ შორის, ჯიშთა გამოცდის მიმართულებით და უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული შედეგები უკვე სახეზეა. გასულ წლებთან შედარებით, წელს თითქმის გაორმაგებულია როგორც ნათესი ფართობები, ისე მოსავლიანობა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია სასურსათო უსაფრთხოების მიმართულებით ადგილობრივი წარმოების ხორბლის მაქსიმალურად მაღალი კოეფიციენტი გვქონდეს“, - აღნიშნა ოთარ დანელიამ.

მოსავლის შეუფერხებლად აღებისთვის პროცესში აქტი-ურად არის ჩართული შპს „მექანიზატორის“ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისთვის საქართველოს მასშტაბით 86 ერთეული შპს „მექანიზატორის“ კომბაინია მობილიზებული. სამუშაოებში ჩართულია კერძო სექტორში არსებული ტექნიკაც.

ხორბლის აღების პროცესს კახეთის რეგიონის გუბერნატორის მოადგილე, გივი მეტრეველი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები დავით გალეგაშვილი და იური ნოზაძე, შპს „მექანიზატორის“ დირექტორი პაატა შეყელაძე, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ

მინისტრმა აგრარულ კომიტეტს ანგარიში წარუდგინა

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის ანგარიში წარუდგინა.

მინისტრმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის ძირითად მიმართულებებზე და აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობა აღნიშნულ სტრატეგიასთან აბსოლუტურ თანხვედრაშია. ოთარ დანელიამ ვრცლად ისაუბრა სურსათის უვნებლობის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების, მელიორაციის, ფიტოსანიტარიის და ვეტერინარიის მიმართულებით განხორციელებულ სამუშაოებზე.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ქვეყანაში ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას. ამისთვის კი, მნიშვნელოვანია როგორც სოფლის მეურნეობის, ისე სოფლის განვითარება.

ოთარ დანელიამ ვრცლად ისაუბრა აგრობიზნესის პროდუქციის გამოშვების, აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის და სოფლის მეურნეობის სექტორში განხორცილებული ინვესტიციების მზარდი დინამიკის შესახებ. მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა ბაზრების დივესრიფიკაციის, საგარეო ვაჭრობის გააქტიურების და ექსპორტის პოტენციალის მქონე პროდუქტების წარმოების მნიშვნელობა.

ანგარიშის წარდგენის შემდეგ აგრარულ საკითხთა კომიტეტის წევრებმა სოფლის მეურნეობის მინისტრს მიმა-რთეს კითხვებით, რომლებიც ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალს, ირიგაციის საკითხებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშემწყობ ღონისძიებებს, სოფლის მეურნეობის დარგით ახალგაზრდების დაინტე-რესების, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით შემუშავებული პროექტების მიმდინარეობის საკითხებს შეეხებოდა.

ოთარ დანელია იუნესკოს წყლის ინსტიტუტის რექტორს შეხვდა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, ქართულ დელეგაციასთან ერთად, ჰააგაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის მინისტრი იუნესკოს წყლის ინსტიტუტის რექტორს, ფრიც ჰოლცვარტს, პროფესორებს ლასლო ჰაიდისს და შარლოტ ფრეტურს შეხვდა.

იუნესკოს წყლის ინსტიტუტში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ყურადღება საქართველოში მელიორაციის კუთხით მიმდინარე და განხორციელებულ პროექტებზე გაამახვილა. მინისტრის განცხადებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორ-ციელებული სამუშაოების შედეგად, საქართველოში გასარ-წყავიანებული ფართობები გაორმაგდა.

შეხვედრაზე მხარეებმა წყლის ინსტიტუტის საგანმანა-თლებლო და სამეცნიერო პროგრამები, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო მიწების, ირიგაციის, დრენაჟის, ასევე, კლიმატგონივრული სისტემების დანერგვის მიმართულებები და ამ პროგრამებში ქართველი მკვლევარებისა და სტუდენ-ტების ჩართვის შესაძლებლობები განიხილეს. შეხვედ-რაზე წყლის ინსტიტუტის რექტორმა აღინიშნა, რომ ექვსმა ქართველმა სტუდენტმა წარმატებით დაამთავრა იუნესკოს წყლის ინსტიტუტი და რომ ინსტიტუტი მზადაა ქართველ სტუდენტებს კვლავ მისცეს საშუალება მიიღონ სტიპენდია და გაიარონ მათთვის სასურველი სამაგისტრო და სადოქტორო სასწავლო პროგრამები.

ინაბოტის სადრენაჟე არხის რეაბილიტაცია

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სადრენაჟე და საირიგაციო არხების სარეაბილიტაციო სამუშაოებს აქტიურად ახორციელებს.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია და შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ლევან დვალი, კახეთის გუბერნატორის მოადგილესთან ერთად კახეთის რეგიონში ინაბოტის სადრენაჟე არხზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ინაბოტის სადრენაჟე კოლექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოები ერთი თვის წინ დაიწყო. პროექტის ფარგლებში გაიწმინდება კოლექტორის 4 კილომეტრიანი მონაკვეთი. სამუშაოების პირველი ეტაპი მიმდინარე წლის ივლისში დასრულდება და 400 ჰექტარ ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება. შედეგად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 5 სოფლის (ჭაბუკიანი, ქალქვა, ძირკოკი, ჭანდარი, ვეჯინი) მოსახლეობა აღნიშნული მიწის ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებას შეძლებს.

დღეისათვის კახეთის რეგიონში 7 ობიექტზე 8 მლნ ლარის ღირებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდება. სამუშაოების დასრულების შემდეგ, მომავალი წლისთვის რეგიონში რამდენიმე ათასი ჰექტრით გაიზრდება მელიორირებული მიწის ფართობი.

2012 წლიდან კახეთის რეგიონში დასრულდა სამელიორაციო ინფრატსრუქტურის 26 სარეაბილიტაციო პროექტი. შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი რეგიონში 6 000 ჰექტრიდან 14 000 ჰექტრამდეა გაზრდილი.

ოთარ დანელია ჰააგაში ჰოლანდიელ კოლეგას შეხვდა

ჰოლანდიაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია ნიდერლანდების სამეფოს სოფლის მეურნეობის მინისტრს, მარტაინ ვან დამს შეხვდა. ჰააგაში გამართულ შეხვედრაზე ოთარ დანელიამ „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ (DCFTA) ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების და საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ისაუბრა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბოლო პერიოდში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და იმედი გამოთქვა, რომ ახლო მომავალში ასოცირების შეთანხმებით მიღებულ სარგებელს თითოეული ფერმერი იგრძნობს.

შეხვედრაზე მინისტრებმა საქართველოში სასათბურე მეურნეობების განვითარებისა და ქართული პროდუქციის ევროპის ბაზარზე ექსპორტის საკითხები განიხილეს. ოთარ დანელიამ მცირე ფერმერული მეურნეობების გამსხვილების მნიშვნელობაზე და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასა და ამ მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილ პროგრამებზე ისაუბრა. მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო ორიენტირებულია ეკოლოგიურად სუფთა, ბიოპროდუქციის წარმოებაზე და საერთაშორისო ბაზარზე, სწორედ ამ ნიშნის დამკვიდრების პოტენციალი აქვს.

ნიდერლანდების სამეფოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა მზადყოფნა გამოთქვა, ქართულ მხარეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობისა და სოფლის მეურნეობაში მაღალი ტენოლოგიების დანერგვის კუთხით საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს.

მინისტრი მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობების მუშაობის სპეციფიკას გაეცნო

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ, ქართული დელეგაციის წევრებთან ერთად, ნიდერლანდების სამეფოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობები დაათვალიერა და მუშაობის სპეციფიკას გაეცნო. როგორც ცნობილია, ჰოლანდია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ყვავილების სასათბურე მეურნეობების განვითარების მიმართულებით მსოფლიოში წამყვან პოზიციას იკავებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაციის წევრები კომპანია „ლანსის“ სასათბურე მეურნეობაში იმყოფებოდნენ, სადაც 52 ჰა-ზე სხვადასხვა ჯიშის პომიდვრის წარმოება მიმდინარეობს. პროდუქციის ექსპორტი ევროპის ქვეყნებში ხორციელდება.

ქართული დელეგაციის წევრები კომპანიის „ჰოგენდორნი“ სათაო ოფისში, სასათბურე მეურნეობის ავტომატიზებული სისტემების ფუნქციონირების სპეციფიკას გაეცნენ. უმსხვილესი კომპანია „ჰოგენდორნი“ მომხმარებელს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სთავაზობს სასათბურე მეურნეობების ავტომატიზებული სისტემების დანერგვისა და ექსპლუატაციის მიმართულებით სწავლების მომსახურებას. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, კომპანია რამდენიმე წელია თანამშრომლობს ქართველ პარტნიორებთან, მზადაა საქართველოში მომსახურების არეალი გააფართოოს და უახლესი ტექნოლოგიები შესთავაზოს ქართველ პარტნიორებს.

ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრები სასათბურე მეურნეობების ტექნოლოგიებისა და კონსტრუქციების მწარმოებელ უმსხვილეს კომპანიაში „კიუბო“ სათბურის კონსტრუქციების წარმოების პროცესს ადგილზე გაეცნენ. როგორც ოთარ დანელიამ აღნიშნა, სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა და შესაბამისად, საქართველოსთვის ამ მიმართულებით ჰოლანდიის გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია.

ოთარ დანელიამ ნიდერლანდების სამეფოში რძის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი დაათვალიერა

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ, ქართული დელეგაციის წევრებთან ერთად, ნიდერლანდების სამეფოში რძის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი დაათვალიერა.

ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - მსხვილფეხა საქონლის ფერმა და მიწის ნაკვეთი, სადაც კვლევები ხორციელდება - სტუდენტებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობას აძლევს.

რძის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის განმარტებით, ბაზაზე მიმდინარე კვლევები ითვალისწინებს როგორც მსხვილფეხა საქონლის ჯანმრთელობაზე, კვებაზე, ქცევაზე დაკვირვებას, ასევე, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით ბიოსასუქების გამოყენების შედეგების შესწავლას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ცენტრში როგორც სტუდენტები, ასევე ბიზნესსექტორი წარმომდგენლები აქტიურად არიან ჩართული ინოვაციური პროექტების განხორციელების პროცესში.

სოფლის მეურნეობის მინისტრის, ოთარ დანელიას განცხადებით, რძის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი დარგობრივი თეორიული და პრაქტიკული სწავლების სინთეზის საუკეთესო მაგალითია და საქართველოსთვის ამ კუთხით გამოცდილების გაზიარება დარგის განვითარებას შეუწყობს ხელს.

რძის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევით ცენტრში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ კერესელიძე და ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კონსტანტინე სურგულაძე იმყოფებოდნენ.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში მედიატური გაიმართა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) ფინანსური მხარდაჭერით, მედიის წარმომადგენლებისთვის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში მედიატური გაიმართა.

მედიატურის ფარგლებში, ჟურნალისტებმა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სურსათის ეროვნული სააგენტოს ოფისი, შპს მექანიზატორის სერვისცენტრი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ძირაგეული“, შპს GEO-FLOWER, ღვინის ქარხანა „ხვანჭკარა პრემიუმი“, ახლადგაშენებული ვენახი და კომპანია „ბლაუენშტაინ საქართველოს“ მეცხოველეობის ფერმა დაათვალიერეს.

- სურსათის ეროვნული სააგენტოს ახალი, თანამედროვე სტანდარტების რეგიონული ოფისი ქ. ამბროლაურში 2014 წლის ივნისში გაიხსნა. რეგიონული სამსახური უზრუნველყოფს მავნე სურსათის გამოვლენასა და განადგურებას, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვას და ეპიდაფეთქებების ლიკვიდაციას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვას მავნე ორგანიზმებისაგან.
- შპს „მექანიზატორის“ ამბროლაურის სერვისცენტრში 35 ერთეული ტრაქტორი და 93 ერთეული აგრეგატია განთავსებული. სერვისცენტრის მომსახურების არეალი ამბროლაურის, ლენტეხის, ონის და ცაგერის მუნიციპალიტეტებს მოიცავს.
- მედიატურის ფარგლებში ჟურნალისტებმა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირაგეულში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ძირაგეული 2015“ დაათვალიერეს. კოოპერატივი 2015 წელს შეიქმნა და მისი ძირითადი საქმიანობა მეფუტკრეობაა. კოოპერატივში 5 მეპაიეა გაერთიანებული; მათ საკუთრებაში 144 სკაა. მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, კოოპერატივმა დამატებით 100 სკა და თაფლის საწური (ციბრუტი) მიიღო. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კოოპერატივს 2200 ლიტრის მოცულობის თაფლის შესანახი ავზებიც გადაეცემა. კოოპერატივი წარმოებული თაფლის რელიზაციას ადგილობრივ ბაზარზე ახდენს.
- მედიატურის ფარგლებში ჟურნალისტებმა შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში დაფინანსებული საწარმოებიც დაათვალიერეს.
- ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე შპს. GEO-FLOWER-ის საწარმომ 2014 წელს შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა და 130,000 აშშ დოლარი სესხით საწარმოს შენობა კაპიტალურად გაარემონტა. საწარმოში ველური ვაშლის, მოცვის, ქაცვის, ძირტკბილას, ველური მსხლის, მანდარინის ჩირის, ასევე ძირტკბილას მშრალ ფესვების წარმოება მიმდინარეობს. წარმოებული პროდუქცია განკუთვნილია ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის. კომპანია ყოველწლიურად 300 ტონამდე სხვადასხვა სახეობის ჩირისა და 300 ტონამდე ძირტკბილას მშრალი ფესვების ექსპორტს გერმანიაში ახორციელებს. საწარმოში დასაქმებულია 42 ადამიანი (სეზონურად დამატებით 200 ადამიანი საქმდება).
- ღვინის საწარმო შპს „ხვანჭკარა პრემიუმი“ 2000 წლიდან ფუნქციონირებს და ხვანჭკარას, ტვიშის, უსახელაურისა და რაჭული თეთრას ღვინოებს აწარმოებს. 2013 წელს საწარმომ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში მიღებული 205 000 აშშ დოლარის სესხით საწარმო გადააიარაღა. კომპანია ყოველწლიურად 200 ტონა ღვინოს აწარმოებს. შპს „ხვანჭკარა პრემიუმი“ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე ექსპორტზე ყაზახეთსა და ლატვიაში ახორციელებს. საწარმოში დასაქმებულია 30 ადამიანი (სეზონურად დასაქმებულთა რაოდენობა 60-70 ადამიანს აღწევს).
- მედიატურის ფარგლებში, მედიის ჟურნალისტებს რაჭის მკვიდრმა, ტარიელ ისაკაძემაც უმასპინძლა. ტარიელ ისაკაძემ შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში 250 000 აშშ დოლარი სესხი მიიღო და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ საკეციაში 17 ჰა-ზე ალექსანდროულის, მუჯურეთულისა და უსახელაურის ჯიშის ყურძნის ვენახი გააშენა. უკვე ჩაყრილია 35 000 ვაზის ნერგი. ვენახის მეპატრონე წელს ყურძნის პირველ მოსავალს ელოდება.
- ჟურნალისტები ონის მუნიციპალიტეტში მდებარე ქართულ-შვეიცარიულ კომპანიაში „ბლაუენშტაინ საქართველო“ იმყოფებოდნენ. ხორცის გადამამუშავებელი საწარმოო კომპლექსი „ბლაუენშტაინ საქართველო“ მესაქონლეობის თანამედროვე ფერმას, საერთაშორისო სტანდარტების პირველად ხორცის გადამუშავების საწარმოს აერთიანებს. კომპანიის ხელშეწყობით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის სოფლებში-შარდომეთში, შქმერში, ჭიორასა და გლოლაში - აშენდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმები, რომლებიც სახელმწიფო შეღავათიანი აგროკრედიტით სარგებლობენ. მეცხოველეობის ფერმებში ხელოვნური განაყოფიერების გზით მაღალპროდუქტიული შვიცისა და სიმენტალის ჯიშებით ადგილობრივი კავკასიური წაბლა ჯიშის ძროხების გენეტიკური გაუმჯობესება ხორციელდება.

მედიატურის ბოლოს ოთარ დანელიამ ჟურნალისტებთან სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის, რაჭის რეგიონში განხორციელებული სამუშაოების და სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრა.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ აღნიშნა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მაღალმთიან რეგიონებში წარმოების ხელშეწყობაა. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონს მეღვინეობის, მესაქონლეობის, მეფუტკრეობის დარგების განვითარების მიმართულებით მზარდი პოტენციალი აქვს.

„მედიასაშუალებების ჩართულობა გამორჩეულ როლს თამაშობს იმ სტერეოტიპის დამსხვრევაში, რომ სოფლის მეურნეობაში საქმიანობა არაპრესტიჟული და წამგებიანია. დღეს აგრარულ დარგში ბიზნესის კეთება შესაძლებელია. მთავარია ცოდნის გაღრმავება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება. სახელმწიფო პროექტების ხელშეწყობით, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში, შეგვიძლია შევქმნათ ისეთი პროდუქცია, რომლის რეალიზაციის პრობლემა არ იქნება. ასეთ რეგიონებში არის ყველა ის პირობა, რაც ხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა, ყველაზე მოთხოვნადი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას იძლევა. უმნიშვნელოვანესია, რომ სოფლის მეურნეობის დარგით ახალგაზრდა თაობა დავაინტერესოთ. ამ მიმართულებით მუშაობა დავიწყეთ, ინტერესი ნამდვილად გაზრდილია, თუმცა ახალგაზრდა სპეციალისტების ნაკლებობას ჯერ კიდევ განვიცდით. 2015 წელს, სოფლის მეურნეობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიცია იყო უპრეცედენტოდ მაღალი და 25 მლნ დოლარი შეადგინა. გვაქვს მიღწევები გადამამუშავებელი წარმოების და ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით. სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად, ჩვენ ვმუშაობთ სოფლის განვითარების მიმართულებით. ხელი მოეწერა ევროპის სამეზობლო პროგრამას სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის (ფაზა II, ENPARD საქართველო II). წლის ბოლომდე, სხვა სამინისტროების ჩართულობით, შემუშავებული იქნება სოფლის განვითარების სტრატეგია. ჩვენ უნდა შევქმნათ ქართული სოფლის ისეთი მოდელი, რომელშიც სოფლის მეურნეობა იქნება განვითარებისა და წინსვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, მაგრამ არა ერთადერთი კომპონენტი“, - აღნიშნა ოთარ დანელიამ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს რჩევები მოსახლეობას

ზაფხულის პერიოდში ტემპერატურული რეჟიმის მატებასთან ერთად მატულობს კვებითი ინტოქსიკაციების რისკი. პროდუქტის შეძენისას, მნიშვნელოვანია, მოსახლეობამ ყურადღებით შეარჩიოს სურსათი და გაითვალისწინოს სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების რჩევები, რომელიც წელიწადის ნებისმიერ დროს აქტუალურია.

სასურსათო პროდუქტის შეძენისას, ეს იქნება ნედლეული თუ მზა კერძი, გულდასმით უნდა შეამოწმოთ ეტიკეტი, რომელზეც მითითებული უნდა იყოს სურსათის რეალიზაციის ვადები. თუკი ეტიკეტზე აღნიშნულია, რომ სურსათი უნდა ინახებოდეს სამაცივრე პირობებში, თუმცა განთავსებულია არასათანადო ტემპერატურაზე, ასეთი სურსათი ვერ ჩაითვლება ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოდ. ბუნებრივია, მისი შეძენისგან თავი უნდა შეიკავოთ.

- მნიშვნელოვანია კარგად დაათვალიეროთ სურსათი შეძენამდე - თუკი შეფუთვის მთლიანობა დარღვეულია, ნუ შეიძენთ ასეთ პროდუქტს!
- თუკი სურსათის არჩევისას აღმოაჩინეთ, რომ მისი ორგანოლეპტიკა - ფერი, სუნი, კონსისტენცია ეჭვს იწვევს - თავი შეიკავეთ ასეთი პროდუქტის შეძენისგან!
- არ შეიძინოთ სურსათი იქ, სადაც არ არის დაცული შენახვის სათანადო პირობები, არის ანტისანიტარია და ფართი არ არის დაცული მწერებისა და მღრღნელებისგან!
- მზა სურსათის შეძენისას დაინტერესდით მისი ვარგისიანობის ვადით!
- შეუფუთავი და უეტიკეტო სურსათთან დაკავშირებით ინფორმაცია მოიკითხეთ კონსულტანტთან ან მენეჯერთან.

ზაფხულის პერიოდში ტემპერატურის მატებასთან ერთად იზრდება მალფუჭებადი სურსათის რეალიზაციასთან დაკავშირებული რისკები:

ნუ შეიძენთ სურსათს გარევაჭრობის ადგილებში, სადაც პროდუქტის შენახვისა და რეალიზაციის არანაირი პირობები არ არის დაცული.

განსაკუთრებით უნდა ერიდოთ მაღალი რისკის სურსათის - თევზის, ხორცისა და ხორცპროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, კრემიანი საკონდიტრო ნაწარმის შეძენას არაკეთილსაიმედო ადგილებში.

- ხორცის შეძენისას გაითვალისწინეთ, რომ მას არ უნდა ჰქონდეს მუქი წითელი შეფერილობა. ძროხის და ცხვრის ხორცი უნდა იყოს ჟოლოსფერ-წითელი, ხბოს ხორცი - ვარდისფერი, ღორის ხორცი - ღია წითლი-მოვარდისფრო შეფერილობის.
- თევზის შეძენისას მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ: არ უნდა შეიძინოთ თევზი, თუ მას მძაფრი, არაბუნებრივი სუნი აქვს. ასეთი თევზი საკვებად უვარგისია. დააკვირდით თევზის თვალებს: ახალი თევზის თვალები და რქოვანა ამოწეული და გამჭვირვალეა. თუ თვალები ჩაცვენილი და მღვრიეა, ასეთი თევზის შეძენა სახიფათოა.

გაყინული სურსათის შეძენისას ყურადღებით დააკვირდით მის შეფერილობას და ფორმას, თუკი სურსათი გალღვა და ისევ გაიყინა, იცვალა ფორმა და ფერი, ასეთი სურსათი საფრთხის შემცვლელია თქვენი ჯანმერთელობისთვის.

საეჭვო სურსათის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოს ცხელ ხაზზე: 15 01

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა ხორციელდება „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის“ (AMMAR) ფარგლებში.

პროგრამა ფინანსდება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მიერ.

პროგრამა ინიცირებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და მას ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს.

პროგრამის მიზნები

პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა;

- არსებული ბაღების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა;
- მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

პროგრამის კომპონენტები

პროგრამა მოიცავს კომპონენტებს როგორც ინდივიდუალური ფერმერების, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თანადაფინანსებისთვის.

- პირველადი წარმოების კომპონენტი - ინდივიდუალური ფერმერების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფინანსება;
- გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტი - მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფინანსება;

პროგრამის პრიორიტეტები

პროგრამა განხორციელდება მხოლოდ შემდეგ მიზნობრივ რეგიონებში:

შიდა ქართლი	კახეთი
სამეგრელო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

პირველადი წარმოების და გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტების ფარგლებში დასაფინანსებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურები:

ხურმა	ვაშლი
ატამი	კივი
დაფნა	ლურჯი მოცვი
ბოსტნეული	
პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ასევე დაფინანსდეს თაფლის წარმოება და მისი გადამუშავება.	

პირველადი წარმოების კომპონენტი

თანადაფინანსების პირობები

- პროგრამით გათვალისწინებული თანადაფინანსება შეადგენს წარმოდგენილი პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 40%-ს, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა შეადგენს 60%-ს;
- პირველადი წარმოების მიზნობრიობით, პროგრამის ფარგლებში ინდივიდუალური ფერმერებისთვის თანადაფინანსება განისაზღვრება არაუმეტეს 15,000 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის -15,000 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში (მის თითოეულ მეპაიეზე გადაანგარიშებით), მაგრამ არაუმეტეს 150,000 აშშ დოლარისა;

დაფინანსების მიზნობრიობა

- არსებული ბაღების განახლება - ნიადაგის მართვის ტექნოლოგიების დანერგვა, თანამედროვე სარწყავი სისტემებით და სეტყვისგან დამცავი ბადეებით უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და სერთიფიცირება;
- ორგანული და კონსერვაციული სოფლის მეურნეობა;
- მცირე ზომის სასათბურე მეურნეობების მოწყობა / განახლება;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა-აღჭურვილობის შეძენა

პროექტში მონაწილეობის მისაღებად, პოტენციური ბენეფიციარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- პოტენციური ბენეფიციარი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში იგი დარეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოში;
- ინდივიდუალური ფერმერი უნდა ფლობდეს 0.1 ჰა-დან 10 ჰა-ს ჩათვლით დარეგისტრირებულ ან სახელმწიფოსგან გრძელვადიანი იჯარით აღებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს;
- სარწყავი სისტემის მოწყობის მიზნით თანადაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, პოტენციურ ბენეფიციარს უნდა ჰქონდეს წვდომა განახლებად სარწყავ წყალთან;
- თანადაფინანსების ობიექტი უნდა მდებარეობდეს პროგრამის მიზნობრივ რეგიონში

თანადაფინანსების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- შევსებული განაცხადის ფორმა;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- მიწის ნაკვეთის საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა);
- იჯარის ხელშეკრულება (სახელმწიფოსთან გაფორმებული იჯარის შემთხვევაში);
- სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული მოწმობა (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში);

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა

- თანამონაწილეობის თანხის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ);
- ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები;

შენიშვნა *- ცალკეული განაცხადის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია სააგენტოს მიერ მოხდეს დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნა. დოკუმენტაციის წარმოდგენა ხორციელდება განაცხადის დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე.*

თანადაფინანსების მიღების ეტაპები

- განაცხადის შევსება - (დეტალები და განაცხადის ჩამოსატვირთი ფორმა იხილეთ ვებ გვერდზე **www.apma.ge**)
- განაცხადისა და თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა - დოკუმენტაციის წარდგენა ხორციელდება მისამართზე: ქ. თბილისი, ახმეტელის 10ა;
- თანადაფინანსების კომიტეტის მიერ მოხდება განაცხადის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
- დამტკიცებული განაცხადის შემთხვევაში, პოტენციურ ბენეფიციართან გაფორმდება თანადაფინანსების ხელშეკრულება;

გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტი

თანადაფინანსების პირობები

- პროგრამით გათვალისწინებული თანადაფინანსება შეადგენს წარმოდგენილი პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 40%-ს, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა შეადგენს 60%-ს;
- გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების მიზნობრიობით, პროგრამის ფარგლებში იურიდიული პირების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თანადაფინანსება განისაზღვრება არაუმეტეს 75,000 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში;

დაფინანსების მიზნობრიობა

- არსებული გადამამუშავებელი / შემნახველი საწარმოების მოდერნიზაცია;
- მანქანა-დანადგარების შეძენა;
- წარმოებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა / განახლება;
- საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და სერტიფიცირება;

პროექტში მონაწილეობის მისაღებად, პოტენციური ბენეფიციარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- პოტენციური ბენეფიციარი დარეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოში;
- პოტენციურ ბენეფიციარს საკუთრებაში უნდა ჰქონდეს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე გადამამუშავებელი საწარმო;
- გადამამუშავებელი საწარმო უნდა იყოს მოქმედი;
- საწარმოს უნდა გააჩნდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება;
- თანადაფინანსების ობიექტი უნდა მდებარეობდეს პროგრამის მიზნობრივ რეგიონში;

თანადაფინანსების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- ბიზნეს გეგმა;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ მიერ გაცემული მოწმობა (ს.ს. კოოპერატივის შემთხვევაში);
- საწარმოს / კოოპერატივის დირექტორის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- მიწის ნაკვეთის და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობის საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა);
- თანამონაწილეობის თანხის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ);
- პოტენციური ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები;

შენიშვნა - ცალკეული განაცხადის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია სააგენტოს მიერ მოხდეს დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნა. დოკუმენტაციის წარმოდგენა ხორციელდება განაცხადის დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე.

თანადაფინანსების მიღების ეტაპები

- ბიზნეს გეგმის და თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა ხორციელდება მისამართზე: ქ. თბილისი, ახმეტელის 10ა. (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ვებ გვერდზე www.apma.ge);
- თანადაფინანსების კომიტეტის მიერ მოხდება განაცხადის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
- დამტკიცებული განაცხადის შემთხვევაში, პოტენციურ ბენეფიციართან გაფორმდება თანადაფინანსების ხელშეკრულება;

პროექტთან დაკავშირებული ამომწურავი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ საინფორმაციო ცენტრის ცხელ ხაზზე: 1501; ასევე, სააგენტოს ვებ გვერდზე: www.apma.ge;

IFAD
Enabling poor rural people to overcome poverty

სოფლის მეურნეობის
პროექტების მართვის სააგენტო

როგორ შევაყვარეთ ჩინელებს ქართული ღვინო

„ქართული ღვინო სრულიად განსხვავებულია იმისგან, რაც აქამდე გაგვისინჯავს... ქართული ღვინის წარმოების ტექნოლოგია გასაოცარია... ქართული ღვინო ძალიან დახვეწილია... დღეს პირველად გავსინჯე ქართული ღვინო და გაოცებული დავრჩი...“ - მსგავსი შეფასებები გააკეთეს ჩინელმა ღვინის პროფესიონალებმა ივნისში, შანხაისა და ჰონგ-კონგში გამართულ „ქართული ღვინის ფესტივალზე“. ზოგადად, ქართული ღვინის ჩინელი მომხმარებლები აცხადებენ, რომ გემოვნურ თვისებებთან ერთად, მათ ქართული ღვინის ისტორია და კულტურაც განსაკუთრებით იზიდავს.

ივნისის თვე ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართული ღვინისთვის როგორც ჩინეთში გაზრდილი ექსპორტის, ასევე ამ ქვეყანაში ქართული ღვინის პრეზენტაციის თვალსაზრისით.

მიმდინარე წლის 6 თვის მონაცემებით საქართველოდან ჩინეთში ექსპორტირებულია 1,9 მლნ ბოთლი ღვინო. იმისთვის, რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს, თუ რა დიდი გარღვევა მოხდა ბოლო წლებში ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინის რეალიზაციის კუთხით, ეს მონაცემი შევადაროთ ბოლო რამდენიმე წლის სტატისტიკას: 2010 წელს ქართული ღვინის ექსპორტმა ჩინეთში 222 ათასი ბოთლი შეადგინა, 2011 – 583 ათასი, 2012 – 1,2 მლნ, 2013 – 898 ათასი, 2014 – 1,2 მლნ და 2015 – 2,7 მლნ ბოთლი.

ჩინეთი ამ დროისთვის ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების სიაში მესამე ადგილს იკავებს, ისეთი ტრადიციული ბაზრების შემდეგ როგორიცაა რუსეთი და უკრაინა. ექსპორტის ნახევარი წლის მონაცემებით, მან ყახაზეთს გადაასწრო.

“საქართველოს მთავრობის თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგია, რომ ჩვენ ვახდენთ ბაზრების დივერსიფიკაციას. ქართული ღვინის ექსპორტი სტაბილურად იზრდება ჩინეთის ბაზარზე. აღმოსავლეთ ევროპის, აშშ-ს და სამხრეთ აზიის ქვეყნებთან ერთად, ჩინეთი არის ერთ-ერთი მიზნობრივი მიმართულება, სადაც ჩვენ თანმიმდევრულად ვმუშაობთ და გვაქვს კიდეც შედეგები. საბოლოო ჯამში, ეს ღონისძიებები ქართულ ღვინოს საერთაშორისო აღიარებას მოუტანს და დაამკვიდრებს, როგორც საერთაშორისოდ მნიშვნელოვან კატეგორიას“, - აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ლევან დავითაშვილმა.

ზოგადად, ჩინეთში დამკვიდრება არ არის მარტივი, რადგან ეს ქვეყანა ძალიან გახსნილია ბევრი ღვინის მწარმოებელი ქვეყნისთვის. იმისითვის, რომ ქართულმა ღვინომ კონკურენცია გაუწიოს სხვა ქვეყნის ღვინოებს, დიდი შრომაა ჩასატარებელი, რაც მოიცავს მარკეტინგულ აქტივობებს სხვადასხვა მიმართულებით.

„ჩინეთში ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ტენდენცია 2014 წელს დაიწყო და დღემდე შენარჩუნებულია. ამ ქვეყანაში სულ უფრო და უფრო იზრდება ქართული ღვინის ცნობადობა, რაც განაპირობა მნიშვნელოვანი მარკეტინგული ღონისძიებების ჩატარებამ. მთლიანად მეღვინეობის დარგი - იქნება ეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ღვინის ეროვნული სააგენტო, თუ ღვინის კომპანიები - სრულად არის ჩართული ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციაში. მნიშვნელოვნად უმჯობესდება ჩინეთთან ურთიერთობები სამთავრობო დონეზე, რაც, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს ღვინის გაყიდვებზე“, - აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი სამანიშვილმა.

ჩინეთში ქართული ღვინის ექსპორტის ასეთი მატება განაპირობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებულმა აქტიურმა ღონისძიებებმა. მაგალითისთვის - 2015 წლის ივლისში პეკინში, გაიხსნა ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრი, რომლის ორგანიზებითაც სისტემატურად ტარდება საგანმანათლებლო სემინარები ქართული ღვინის კულტურის შესახებ, ეწყობა დეგუსტაციები.

ამასთან ერთად, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, ქართული ღვინო წარმოდგენილია ჩინეთში გამართულ ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენაზე, ჩინელი ღვინის პროფესიონალების, მედიის წარმომადგენლებისა და მოყვარულებისთვის საქართველოში ეწყობა ღვინის ტურები, ჩინურ მედიაში იბეჭდება ქართული ღვინის შესახებ სარეკლამო სტატიები, ტელევიზიებით მზადდება სპეციალური სიუჟეტები, ქართული ღვინის აქტიური რეკლამირება ხდება ადგილობრივი სოციალური მედიის მეშვეობითაც.

ჩინეთში ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Meiburg Wine Media” ხელმძღვანელი, ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი მართავს ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციებს და აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ პროფესიონალურ მედიასთან ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით.

„ქართულ ღვინოს დიდი ნაირსახეობის შემოთავაზება შეუძლია. მაგალითად, ახალი ტიპის ღვინოები, შედარებით დაბალალკოჰოლური ღვინოები, რომელსაც ახასიათებს ცოცხალი ხილის არომატი, შემფასებლების მოწონებას იმსახურებს. ასევე საფერავი, რომელიც განსხვავებულია. სხვადასხვა გემოვნების მქონე ჩინელ მომხმარებელს შეუძლია ამ ნაირსახეობებიდან შეარჩიოს ღვინო თავისი მოთხოვნების შესაბამისად”, - აცხადებს დებრა მეიბურგი.

კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ჩინეთში გახსნილი უკვე ათეულობით ქართული ღვინის ობიექტი - იქნება ეს ღვინის სახლი, პავილიონი, სალონი, მაღაზია, ცენტრი, თუ რესტორანი, რომლებიც სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ჩინეთის იმ პროვინციებში, სადაც ქართული ღვინის რეალიზაცია ხდება. მსგავს ობიექტებში ქართულ ღვინოსთან ერთად წარმოდგენილია ქართული სამზარეულო, ღვინის კულტურასთან დაკავშირებული სხვადასხვა ექსპონატები - ფიალები, მინიატურული ქვევრები, ყანწები, ასევე ჩინურ ენაზე ნათარგმნი სპეციალური ლიტერატურა. ქართული ღვინის ობიექტები ადგილობრივ მოსახლეობას გაუადვილებს ქართული ღვინის გაცნობასა და მიღებას. წლის ბოლომდე, სხვადასხვა კომპანიის მიერ კიდევ რამდენიმე ათეული ქართული ღვინის სხვადასხვა ობიექტის გახსნაა დაგეგმილი, რაც ექსპორტის წლიურ მაჩვენებელს კიდევ უფრო შთამბეჭდავს გახდის. ეს კი, საბოლოო ჯამში ქართული ღვინის ინდუსტრიის და მევენახეების გაძლერებას შეუწყობს ხელს.

ქართული ღვინო საერთაშორისო ბაზარზე

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის 6 თვის მონაცემები

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2016 წლის პირველ ნახევარში საქართველოდან მსოფლიოს 40 ქვეყანაში ექსპორტირებულია 19,8 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 44%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 46,6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 18%-ით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

საანგარიშო პერიოდისთვის ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე ჩინეთისა და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით:

ჩინეთი - 148% (1 884 665)	უკრაინა - 82% (2 286 977)
რუსეთი - 56% (10 198 085)	ბელარუსი - 96% (462 547)
ლიტვა - 31% (260 064)	პოლონეთი-34% (1 070 454)
ესტონეთი - 64% (331 884)	ყირგიზეთი - 89% (149 666)
გერმანია - 55% (166 636)	კანადა - 16% (96 300)
დიდი ბრიტანეთი-43% (58 366)	და სხვა

აღსანიშნავია, რომ 6 თვის მონაცემებით, ჩინეთმა მე-4 ადგილიდან მე-3 ადგილზე გადაინაცვლა ისეთი ტრადიციული ბაზრების შემდეგ, როგორიცაა რუსეთი და უკრაინა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი - 10 198 085 ბოთლი; უკრაინა -2 286 977 ბოთლი; ჩინეთი - 1 884 665 ბოთლი; ყაზახეთი- 1 764 286 ბოთლი; პოლონეთი -1 070 454 ბოთლი.

ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტირებულია „ქინძმარაული“ – 2 626 364 ბოთლი, „მუკუზანი“ – 1 006 732 ბოთლი, „წინანდალი“ – 830 149 ბოთლი, „ახაშენი“ – 426 899 ბოთლი, „ხვანჭკარა“ – 132 033 ბოთლი და ა.შ.

ამასთან, მსოფლიოს 13 ქვეყანაში ექსპორტირებულია 3 710 997 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 47%-ით აღემატება 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 8,5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების - ზრდა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20%-ს აღწევს.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 78,8 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. გასული წლის 6 თვის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 58,3 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა.

„ივნისი – ქართული ღვინის თვე აშშ-ში“

ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ საექსპორტო ქვეყანაში, აშშ-ში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Tastingwork”-ის ორგანიზებით ქართული ღვინის თვე გაიმართა. ქართული ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაციები ნიუ-იორკში, ვაშინგტონსა და სან-ფრანცისკოში ჩატარდა.

აშშ-ში გამართულ დეგუსტაციებზე 22 ქართული, როგორც დიდი ღვინის მწარმოებელი კომპანიის, ასევე მცირე საოჯახო მარნების სხვადასხვა სტილის ღვინო იყო წარმოდგენილი. დეგუსტაციის პარალელურად იმართებოდა სემინარი ქართული ღვინის კულტურის შესახებ. ღონისძიების სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ როგორც უძველესი ტრადიციული ქართული, ისე თანამედროვე მეთოდებით დამზადებული ღვინოები.

როგორც ლიზა გრანიკმა აღნიშნა, ღონისძიებებს ძალიან პოზიტიური გამოხმაურება ჰქონდა და დეგუსტაციებზე ღვინის პროფესიონალები სპეციალურად, აშშ-ს სხვადასხვა შტატებიდანაც ჩავიდნენ.

„ქართული ღვინის დეგუსტაციები იყო საოცრად წარმატებული, სადაც უამრავი ხალხი შეიკრიბა. აღნიშნული ღონისძიებები ემსახურება ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებას აშშ-ში, ქართული ღვინის წარმოების ტრადიციული მეთოდებისა და უნიკალური ქართული ვაზის ჯიშების გაცნობას პროფესიონალებისა და მოყვარულებისთვის, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ქართული ღვინის ექსპორტის ზრდასა და ღვინის ტურიზმის განვითარებას საქართველოში“, - აღნიშნა ლიზა გრანიკმა.

აშშ-ში ქართული ღვინის წარდგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს ქვეყანა წარმოადგენს ქართული ღვინის ერთ-ერთ პოტენციურად მზარდ და მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზარს. ქართული ღვინის მწარმოებლებთან თანმიმდევრული და მიზანმიმართული თანამშრომლობით შესაძლებელია აშშ-ს ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის მზარდი ტენდენციის შექმნა.

სწორედ აქედან გამომდინარე დაიგეგმა აშშ-ში აქტიური მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ქართული ღვინის ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას აშშ-ს ბაზარზე და ზოგადად ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრის გაფართოებას.

DCFTA-ის მოთხოვნები სურსათის მწარმოებლებისთვის გზამკვლევი

აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კონსორციუმის მიერ US-AID/საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის (REAP) ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში.

წარმოდგენილი გზამკვლევი განკუთვნილია სურსათის მწარმოებლისთვის, რომელთაც სურთ საკუთარი პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტი, ამისთვის კი საკმაოდ მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება მოუწევთ. გზამკვლევი მოიცავს იმ ძირითად ნაბიჯებს, რომლებიც მწარმოებელმა უნდა გაიაროს საკუთარი საქონლის ევროკავშირში შეტანისთვის და, ამავე დროს, ისარგებლოს ნულოვანი საბაჟო დაბეგვრით.

ევროკავშირის ბაზრის მოკლე ანალიზი

ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) არის ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც საქართველოში წარმოებული პროდუქციისათვის და მომსახურების სექტორისათვის ხსნის ევროკავშირის ბაზარს. DCFTA 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა, რითაც საქართველოში წარმოებულ საქონელს გაეხსნა მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს.

ევროკავშირის ბაზარი ასევე ნიშნავს:

- სტაბილურ ბაზარს
- ღია თამაშის წესებს
- დისტრიბუციის გამართულს ქსელს
- მზარდ ფასებს სურსათზე
- მზარდ მოთხოვნილებას ნატურალურ პროდუქტებზე

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი თავადაც სურსათის დიდი მწარმოებელია, მისი იმპორტის მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია.

2013 წელს მხოლოდ ხილის იმპორტმა ევროკავშირში 12,6 მლრდ ევრო შეადგინა (13,1 მლნ ტონა), საიდანაც 11,7 მლრდ ევრო განვითარებად ქვეყნებზე მოდიოდა. რაც შეეხება ახალ ბოსტნეულს, მისმა იმპორტმა იგივე წელს 2,6 მლრდ შეადგინა(დაახ. 2,6 მლნ ტონა)

იმპორტირებული ხილის სიაში წამყვანი ადგილები უკავიათ შემდეგ სახეობებს:

ბანანი - 49%

ანანასი/ფორთოხალი - 8%

ვაშლი - 7%

ყურძენი - 6%

ლიმონი - 4%

დიდია ახალი და გადამუშავებული ხილ-ბოსტნეულის იმ სახეობების იმპორტის მაჩვენებელი, რომელიც საქართველოში იწარმოება, მაგალითად:

ვაშლი - 670 000 ტონა

ატამი - 333 184 ტონა

მანდარინი - 333 184 ტონა

სუფრის ყურძენი - 573 105 ტონა

ლიმონი - 441 187 ტონა

ხილის ჩირი - 130 000 ტონა

კივი - 215 123 ტონა

ხილის წვენები(მათ შორის ყურძნის წვენი) - 2 363 763 ტონა

ხილის ჯემები - 66 494 ტონა

ბოსტნეულის იმპორტის სიაში კი ლიდერობს შემდეგი სახეობები:

პომიდორი - 28%

კარტოფილი - 16%

ხახვი - 13%

ლობიო - 10%

ტკბილი წიწაკა - 8%

მათი აბსოლუტური მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება (2013 წელი);

პომიდორი - 441 191 ტონა

კარტოფილი - 251 428 ტონა

ხახვი - 205 00 ტონა

ლობიო - 157 000 ტონა

ტკბილი წიწაკა - 126 000 ტონა

ხილისა და ბოსტნეულის ყველაზე დიდი იმპორტიორი ევროკავშირის ქვეყნებს შორის ჰოლანდიაა, რომელმაც 2013 წელს 2 100 000 ტონა ბოსტნეულის იმპორტი განახორციელა არაევროკავშირის ქვეყნებიდან. მას სიაში მოსდევენ გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ბელგია.

ხილის ძირითადი მიმწოდებლები ევროკავშირის ბაზარზე არიან სამხრეთ ამერიკის ქვეყნები, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და თურქეთთან ერთად, საიდანაც დიდი მანძილის გამო, ტრანსპორტირების ხარჯები და დრო საკმაოდ დიდია. ბოსტნეულის ძირითადი მიმწოდებლები კი არიან: მაროკო, ეგვიპტე, პერუ, კენია, თურქეთი და სხვები.

საგულისხმოა, რომ ევროკავშირის ბაზარი გამოირჩევა სურსათზე დანახარჯების მაღალი მაჩვენებლით. აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის 2013 წლის სტატისტიკის მიხედვით, თუ საქართველოში სურსათზე დანახარჯი ერთ სულ მოსახლეზე 894 $-ს უდრიდა, რუსეთში ის 2 245 $-ის, უკრაინაში1 142 $-ის, ხოლო ბელარუსში 1 432 $-ის ტოლი იყო. იგივე მაჩვენებლები ევროპის ქვეყნებში გაცილებით მაღალია: შვედეთი 3 385 $, ფინეთი 3 200 $, ნორვეგია 4 973 $,საფრანგეთი 3 258 $ და ა.შ.

DCFTA -ის გათვალისწინებით, საქართველოს აღნიშნული მიმართულებით საკმაოდ კარგი პოტენციალი გააჩნია და დარგის ინტენსიფიკაცია გაზრდიდა ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას ამ ბაზარზე. აღნიშნულ შეფასებას ამყარებს ისიც, რომ საქართველოდან ბევრი კომპანია უკვე დიდი ხანია წარმატებით ახორციელებს საკუთარი პროდუქციის ექსპორტს.

საქონლით თავისუფალი (უტარიფო და ტექნიკური შეზღუდვებისგან თავისუფალი) ვაჭრობა ხელს უწყობს საქართველოში წარმოებული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ზრდას ევროკავშირის



ქვეყნებში და, შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდას საქართველოში. მსგავსი პროგნოზის გაკეთების საშუალებას ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობის დინამიკაც იძლევა, რომლის მიხედვით, საქართველოდან ევროკავშირში განხორციელებული ექსპორტი ყოველწლიურად იზრდება და ოფიციალური მონაცემებით, 2013 წელს მან 608 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

მათ შორის, მზარდია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტიც, რომელმაც 2014 წელს 216 405 000 აშშ დოლარი შეადგინა:

დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ათასი აშშ დოლ.
თხილი	ტონა	14 614	143 462
სპირტიანი სასმელები კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები	ლ 100% სპირტი	3 142 623	24 304
ყურძნის ნატურალური ღვინოები	ლიტრი	3 151 938	13 849
მინერალური და მტკნარი წყლები	ლიტრი	16 991 268	11 252
დამზადებული ან დაკონსერვებული ნაყოფები (ძირითადად მოხალული თხილი)	ტონა	693	5 488
თხილის ფქვილი	ტონა	333	2 696
ხილისა და ბოსტნეულის წვენები	ტონა	4 938	5 654
კავკასიური სოჭის თესლი	ტონა	53	1 655
უალკოჰოლო გაზიანი სასმელები	ლიტრი	847 353	537
მცენარეული ექტრაქტები	ტონა	150	1 070
ჩაი, არომატიზებული ან არაარომატიზებული	ტონა	293	449
ვერმუტები და ყურძნის სხვა ნატურალური ღვინოები	ლიტრი	236 630	1 314
სხვა დანარჩენი	ლიტრი	236 630	4 776
სულ			216 405

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ბაზარი მიმზიდველია თავისი მოცულობითა და მსყიდველუნარიანი მოსახლეობით, თუმცა მას

DCFTA-ის მოთხოვნები სურსათის მწარმოებლებისთვის გზამკვლევი

დაწესებული აქვს სურსათის უვნებლობის საკმაოდ მაღალი სტანდარტები. აღნიშნული სტანდარტების გათვალისწინება მოუწევთ იმ კომპანიებს, რომელთაც სურთ საქართველოდან ევროკავშირში სურსათის ექსპორტი. ამისთვის, მათ კარგად უნდა შეისწავლონ კონკრეტულ პროდუქტთან არსებული მოთხოვნები და რეგულაციები და ექსპორტის განხორციელებამდე იზრუნონ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებაზე. ამ პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის შესაბამისი ინსტიტუტების მიერ აღიარებული ლაბორატორიების არსებობას საქართველოში, რომლებსაც ექნებათ პროდუქტის შემოწმებისა და სერტიფიცირების უფლებამოსილება.

ექსპორტიორებმა უვნებლობასთან ერთად ყურადღება უნდა მიაქციონ საქონლის ხარისხს, რომელსაც სავაჭრო ქსელები აწესებენ. ხარისხის სტანდარტი უშუალოდ სავაჭრო ქსელზე ან დისტრიბუტორზეა დამოკიდებული, ამიტომ ექპორტიორებმა წინასწარ უნდა მიიღონ აღნიშნული ინფორმაცია პარტნიორებისგან ევროპაში. ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება მზარდი მოთხოვნა პროდუქტებზე, რომლებიც მოყვანილია ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ნაკლები ქიმიური საშუალებების გამოყენებით. საქართველოს, თავისი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აქვს შესაძლებლობა ამ კუთხით დაიკავოს საკუთარი ნიშა ევროკავშირის ბაზარზე და მომხმარებელს შესთავაზოს ნატურალური პროდუქტი.

ვინ არის ბიზნესოპერატორი?

ბიზნესოპერატორი არის პირი, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებას, პირველად წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, აგრეთვე ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მომსახურებას.

სურსათის წარმოება არის პროცესი, რომელიც მოიცავს ადამიანის საკვებად განკუთვნილი პროდუქტის წარმოებას პირველადი ან/და გადაუმუშავებელი პროდუქტის ნებისმიერი სახის გადამუშავებით.

სურსათის წარმოება შეიძლება მოიცავდეს მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქციას, მათ ნაზავს, ასევე ნებისმიერ სასმელს, მათ შორის სასმელ წყალს და ნებისმიერ ნივთიერებას, რომელიც სურსათში გამოიყენება.

სურსათის გადამუშავება არის ნებისმიერი პროცესი, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის პირველად პროდუქტს, მაგალითად, გაცხელება, შებოლვა, გახმობა, დამწიფება, გამოშრობა, დამარილება, გაწურვა, ექსტრაქცია, ექსტრუზია ან ამ პროცესთა ნებისმიერი კომბინაცია.

მაგალითად, პირველადი წარმოება სასათბურე და ფერმერული მეურნეობაა. ფერმა არის პირველადი წარმოება, სადაც დაკვლამდე ცხოველების ზრდა და მოშენება მიმდინარეობს, ხოლო სათბურში მოჰყავთ ხილი და ბოსტნეული, სადაც არ ხდება მათი გადამუშავება.

ფერმისა და სათბურისგან განსხვავებით, სასაკლაო, ხორცპროდუქტების და წვენის მწარმოებელი საწარმო არ არის პირველადი წარმოება. მაგალითად, სასაკლაოზე ხდება ძროხის, ღორის, ფრინველის და ა.შ დაკვლა, გატყავება, დანაწილება ან დაჭრა, ძვლების გამოცლა ან გაწმენდა, გაცივება ან გაყინვა.

ასევე, ვაშლის ბაღებიდან მოსავლის აღება და რეალიზაცია არის პირველადი წარმოება, ვინაიდან რეალიზაციისას ვაშლის პირველადი სახე არ იცვლება. თუ ბიზნესოპერატორი აწარმოებს ვაშლის ჩირს, მაშინ ეს აღარ ითვლება პირველად წარმოებად, ვინაიდან ჩირის მისაღებად ხორციელდება ვაშლის პირველადი სახის მნიშვნელოვანი ცვლილება, გამოშრობის პროცესის მეშვეობით.

სურსათის მწარმოებლად რეგისტრაცია

ყველა ბიზნესოპერატორი, რომელიც ახორციელებს სურსათთან დაკავშირებულ წარმოებას, იმპორტს და რეალიზაციას, ვალდებულია გაიაროს შესაბამისი რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც გულისხმობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბაზაში შესაბამისი მონაცემების შეტანას.

თუ ფიზიკური პირი ეწევა სურსათის წარმოებას არაორგანიზებულად (მაგალითად, ღორის დაკვლა და არასისტემურად ადგილზე რეალიზაცია) ან/და საკუთარი მოხმარების მიზნით, მაშინ მას არ მოეთხოვება სურსათის მწარმოებლად რეგისტრაციის გავლა.

სურსათის მწარმოებლად რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. შესაბამისად, რეგისტრაციისათვის პირმა უნდა მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს თავისი მონაცემების ბაზაში შეტანის მიზნით.

თუ პირი უკვე რეგისტრირებულია მეწარმე სუბიექტად, მან უნდა მიმართოს საჯარო რეესტრს და რეგისტრაციის მონაცემებში შეიტანოს ცვლილებები სურსათთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ. მაგალითად, თუ პირი რეგისტრირებულია როგორც ინდივიდუალური მეწარმე ან შპს, ის უნდა მივიდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მიუთითოს:

- საქმიანობის ტიპი (სურსათის წარმოება, დისტრიბუცია ან/და რეალიზაცია)
- პროდუქციის სახეობა (ხორცპროდუქტები, ხილ-ბოსტნეული, წვენი, წყალი და ა.შ.).

გასათვალისწინებელია, რომ ასეთი რეგისტრაციის გარეშე საწარმოს საქმიანობა აკრძალულია და ისჯება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მნიშვნელოვანია, რომ საქმიანობის ტიპისა და წარმოებული პროდუქციის სახეობების შესახებ ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში იყოს ზუსტი და რეალური. აღნიშნულ ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო (მაკონტროლებელი ორგანო) იყენებს რისკების შესაფასებლად და, შესაბამისად, რაც უფრო ბევრია საქმიანობის ტიპი და წარმოებული პროდუქციის სახეობა, არსებული ინფორმაციის საფუძველზე, რისკის ალბათობა იზრდება და მაკონტროლებელი ორგანო გადაწყვეტილებებს იღებს შესაბამისი მაღალი რისკების გათვალისწინებით.

ბიზნესოპერატორის აღიარება

DCFTA – ის მოთხოვნების გათვალისწინებით, გარდა რეგისტრაციისა, მაკონტროლებელი ორგანოს (სურსათის ეროვნული სააგენტოს) მხრიდან აღიარებას ექვემდებარება ისეთი საწარმო, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებასთან (გარდა პირველადი წარმოებისა) ან/და გადამუშავებასთან. ასეთი აღიარების ან პირობითი აღიარების გარეშე აკრძალულია აღიარებას დაქვემდებარებული საწარმოს საქმიანობა. მაგალითად, თუ ბიზნესოპერატორს აქვს ძროხის ფერმა და ახორციელებს მხოლოდ რძის წველას, დაუმუშავებელი სახით შემდგომი რეალიზაციის მიზნით, მას არ მოეთხოვება აღიარება. თუ ბიზნესოპერატორი ეწევა რძის გადამუშავებას (თერმული დამუშავება, იოგურტის/მაწვნის წარმოება და ა.შ), კანონის შესაბამისად, მასზე ვრცელდება აღიარების მოთხოვნა.

საწარმოს სურსათის მწარმოებლად აღიარება გულისხმობს რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას. ევროკავშირის რეგულაციების თანახმად, საწარმოს სურსათის მწარმოებლად აღიარება მოიცავს მაკონტროლებელი ორგანოს მიერ საწარმოს ადგილზე ინსპექტირებას სულ მცირე ერთხელ მაინც.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, აღიარება ხორციელდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - მაკონტროლებელი ორგანო) მიერ სახელმწიფო კონტროლის შედეგების მიხედვით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორი სრულიად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. საქართველოს კანონმდებლობისა და ევროკავშირის რეგულაციების თანახმად, მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან აღიარებას არ ექვემდებარება: ა) ოჯახური წარმოების სუბიექტი ან/და ბ) ბიზნესოპერატორი, რომელიც ახორციელებს პირველად წარმოებას.

აკრძალულია ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოება ან/და გადამუშავება ბიზნესოპერატორის აღიარების ან პირობითი აღიარების გარეშე.

რეგისტრირებული ბიზნესოპერატორი აღიარებისათვის განცხადებით მიმართავს მაკონტროლებელ ორგანოს. განცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში სააგენტომ ადგილზე უნდა განახორციელოს ბიზნესოპერატორის ინსპექტირება. სახელმწიფო კონტროლის შედეგების მიხედვით, მაკონტროლებელი ორგანო ახდენს ბიზნესოპერატორის აღიარებას, პირობით აღიარებას ან უარს აცხადებს ბიზნესოპერატორის აღიარებაზე სახელმწიფო კონტროლის დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში.

მაკონტროლებელი ორგანო ბიზნესოპერატორს აღიარებას ანიჭებს უვადოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

თუ ბიზნესოპერატორი აწარმოებს სხვადასხვა სახეობის ცხოველური წარმოშობის სურსათის გადამუშავებას, მისი აღიარება ხორციელდება ცხოველური წარმოშობის სურსათის სახეობების მიხედვით. მაგალითად, თუ ბიზნესოპერატორი აწარმოებს ძეხვს და არაჟანს, მან აღიარება უნდა გაიაროს სურსათის თითოეულ სახეობაზე. შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ იგივე ბიზნესოპერატორი კანონის ყველა ნორმის დაცვით აწარმოებს ხორცპროდუქტებს და აღიარება მიიღოს ძეხვის წარმოებაზე, თუმცა ვერ დააკმაყოფილოს რძის პროდუქტების წარმოების ნორმები და, შესაბამისად, ვერ მიიღოს აღიარება არაჟნის წარმოებაზე.

თუ სახელმწიფო კონტროლის შედეგებით დადგინდება რომ ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ საწარმოს ინფრასტრუქტურა, მოწყობილობები და აღჭურვილობა სრულად აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მაკონტროლებელი ორგანო ბიზნესოპერატორს 6 თვის ვადით ანიჭებს პირობით აღიარებას და მითითებებს აძლევს შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად.

აღსანიშნავია, რომ პირობითი აღიარების მინისჭებიდან 6 თვის შემდეგ, მაკონტროლებელი ორგანო ახდენს განმეორებით სახელმწიფო კონტროლს, რომლის საფუძველზე:

- ბიზნესოპერატორს უგრძელდება პირობითი აღიარება, თუ მის მიერ არ არის შესრულებული სააგენტოს მითითებები;
- ბიზნესოპერატორს ენიჭება აღიარება, თუ მისი საქმიანობა სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

პირობითი აღიარების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განმეორებითი სახელმწიფო კონტროლის საფუძველზე, ბიზნესოპერატორს:

- ან უუქმდება პირობითი აღიარება და წყვეტს საქმიანობას;
- ან ენიჭება აღიარება;

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საწარმოს საქმიანობა ბიზნესოპერატორად (სურსათის მწარმოებელ საწარმოდ) აღიარების გარეშე გამოიწვევს მის დაჯარიმებას.

(გაგრძელება იხილეთ მომდევნო ნომერში)

სტაფილო – daucus Carota

ბიოლოგიური დახასიათება

სტაფილო ორწლოვანი მცენარეა. მიეკუთვნება ნიახურისებრთა (Apiaceae) ოჯახს. სიცოცხლის პირველ წელს ივითარებს ფოთლების როზეტს და ძირხვენას, მეორე წელს გამოაქვს საყვავილე ღეროები ქოლგისებური დაბოლოებით და წვრილი თეთრი ფერის ყვავილებით, რომელთა განაყოფიერებისა და მომწიფების შედეგად წარმოიქმნება თესლნაყოფები (ორთესლიანი მარცვლები). მომწიფებისას ისინი ერთმანეთს სცილდებიან და ორ თესლად იყოფიან. სტაფილოს თესლი ბრტყელია, ოვალური ფორმის, 1 გრამში, საშუალოდ, 700 ცალი გამოფშვნილი თესლია. აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 2-3 წელიწადს.

სტაფილოს თესლი დათესვიდან აღმოცენებამდე ჩვეულებრივ სამ კვირას საჭიროებს, მაგრამ თუ ხელშემწყობი პირობები არ არის, აღმოცენება ერთ თვეზე მეტ ხანს შეიძლება გაჭიანურდეს, სწორედ ამიტომ, ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში თესვა რაც შეიძლება ადრე უნდა ჩატარდეს, რათა ნიადაგში არსებული ტენის მარაგი სრულად და მიზნობრივად იყოს გამოყენებული.

სტაფილოს ძირხვენა გარეგნულად სამი ნაწილისაგან შედგება: თავაკის, ყელის და ფესვისაგან. თავაკზე ვითარდება ფოთლების როზეტი, რაც შეეხება ძირხვენას შიგა აგებულებას, იგი შედგება ორი მკვეთრად განსხვავებული სიმკვრივის და შეფერვის ნაწილისგან: მოწითალო-ნარინჯისფერი ქერქის და ყვითელი ან მოყვითალო-ნარინჯისფერი, მკვრივი აგებულების გულგულისაგან.

ძირხვენა გარედან დაფარულია თხელი ნაზი კანით, რომელიც წყლის კარგი გამტარია, რის გამოც ნიადაგის სიმშრალისას ადვილად ჭკნება და იღებს მომწარო გემოს. თხელი კანის გამო სტაფილოს ძირხვენის ხანგრძლივად შენახვაც უფრო რთულია.

სტაფილოს ჯიშები

გორული ნანტი - ფოთლების როზეტი ნახევრად სწორმდგომია, 37 სმ სიმაღლის, 33 სმ დიამეტრის, ფოთლების რაოდენობა 9-10, ფოთლების მასა მცენარის მასის 18%-სშეადგენს.

ძირხვენის გარე შეფერვა ნარინჯისფერია, რბილობის (ქერქის) - ნარინჯისფერი და ღია ნარინჯისფერი, გულგულის - ნარინჯისფერი და მოყვითალო-ნარინჯისფერი. ძირხვენის ფორმა ცილინდრულია, ბლაგვზოლიანი, ზოგჯერ წვეროსკენ დაქანებული. სიგრძე 13 სმ, დიამეტრი 4,9 სმ, ინდექსი 2,6. გულგულის ფორმა მომრგვალო, ვარსკვლავისებური და დაწახნაგებული. თავაკი თითქმის გლუვი, 2,5 სმ დიამეტრის. გვერდითი ფესვები მცირე, ძაფისებური, თვლები მცირე, გლუვი. ძირხვენა ოდნავ აწეულია ნიადაგის ზედაპირზე. მსუბუქ ნიადაგებზე ადვილად ითხრება.

ჯიში საშუალო-საგვიანოა, საქართველოს სხვადასხვა ზონაში აღმოცენებიდან ტექნიკურ სიმწიფემდე 100-110 დღეს საჭიროებს. ძირხვენის საერთო მოსავალია 41,2-85,2 ტ/ჰა. სასაქონლო ძირხვენა 53-116 გრამია. გემური თვისებები შეფასებულია 3,6-4,2 ბალით. ზამთარში შენახვის უნარიანობა 79,4-84,4% -ია. ძირხვენების ქიმიური შედგენილობა ასეთია: მშრალი ნივთიერება 12,0-13,2%, შაქრები 7,7-10,5%, კაროტინის შემცველობა 13,9-20,5მგ%.

დანიშნულება - ნედლად (უმად) საკვებად გამოსა-ყენებლად, საკონსერვო წარმოებისათვის და ცხოველთა კვებისათვის.

შანტენე 2461 - ფოთლების როზეტი ნახევრად სწორმდგომია, 63 სმ სიმაღლის და 49 სმ დიამეტრის. ფოთლების რაოდენობა 8-12. ფოთლების მასა მცენარის მასის 25%-ს შეადგენს.

ძირხვენის ზედაპირის, რბილობის (ქერქის) და გულგულის შეფერვა ნარინჯისფერია. ფორმა კონუსურია, ბლაგვი ბოლოთი, 15 სმ სიგრძის და 5,8 სიგანის (დიამეტრი), ინდექსი 2,6. თავაკი ჩაღუნული, 3 სმ დიამეტრის. ძირხვენა მთლიანადაა ჩამჯდარი ნიადაგში, ადვილად ითხრება მიწიდან.

ჯიში საშუალო-საგვიანოა, საქართველოში სავეგეტაციო პერიოდი აღმოცენებიდან ტექნიკურ სიმწიფემდე 109-147 დღეა. ძირხვენების საერთო მოსავალია 35,4-80,8 ტ/ჰა. სასაქონლო ძირხვენის მასა 74-252 გ, გემური თვისებები ფასდება 3-4 ბალით. ზამთრის პერიოდში შენახვის უნარიანობა 83,6-91,1%. ძირხვენას ქიმიური შედგენილობა ასეთია: მშრალი ნივთიერება 125-164%, საერთო შაქრები 6,2-10,4%, კაროტინის შემცველობა 7,9-16,6მგ%. დანიშნულება - ნედლად (უმად) მოსახმარად, საკონსერვო წარმოებაში, ცხოველთა საკვებად.

გერანდა - ძირხვენა კონუსურია, გულისებრი ფორმის, ბლაგვბოლოიანი, საშუალო სიგრძე 20 სმ, დიამეტრი 8სმ. კანი და ქერქი მონარინჯისფრო წითელია, გულგული დიდი, მონარინჯისფრო-ყვითელი.

ჯიში საშუალო-საადრეოა. ძირხვენის წონა, საშუალოდ, 220 გრ, ძირხვენის მასის შეფარდება ფოთლების მასასთან 5:1, ჯიში უხვმოსავლიანია, ინახება კარგად.

დამოკიდებულება გარემო პირობების მიმართ

სტაფილო ზომიერი კლიმატის მცენარეა. თესლი გაღივებას იწყებს 3-4^{0}C ტემპერატურაზე, მაგრამ აღმოცენებისათვის საჭირო ოპტიმალური ტემპერატურა მნიშვნელოვნად მაღალია (20^{0}C-თან ახლოს). სტაფილოს ღივებს შეუძლიათ დაუზიანებლად გადაიტანონ 30-40C-მდე ყინვები.

საქართველოს მებოსტნეობის პირველ ზონაში სტაფილოს შემოდგომაზე თესვა დასაშვებია. სტაფილო უარყოფითად რეაგირებს მაღალ ტემპერატურაზე, განსაკუთრებით ძირხვენების დამსხვილების ფაზაში. ასეთ დროს მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ნიადაგის სიმშრალე. ამ პირობებში მცენარე ივითარებს ძლიერ გახევებულ, მცირე ზომის ძირხვენას, რომელსაც ამავე წელს გამოაქვს საყვავილე ღეროები (ჩოყდება).

სტაფილო ტენის ზომიერად მომთხოვნი მცენარეა. ზრდა-განვითარების პროცესში მისი მოთხოვნილება ტენზე იცვლება. ტენიანობის სიჭარბე, მით უმეტეს, თუ ადგილი აქვს ნიადაგის ზედაპირის დატბორვას, იწვევს სოკოვანი დაავადებების გაჩენას, ძირხვენების ლპობას, სასაქონლო ხარისხის დაქვეითებას და, შედეგად, მოსავლიანობის მკვეთრად შემცირებას. ამიტომ ჭარბტენიან რაიონებში საჭიროა საწრეტი არხების მოწყობა და სტაფილოს შემაღლებულ კვლებზე ან ბაზოებზე მოყვანა.

სტაფილოს მოსაყვანად საუკეთესოა კარგი სტრუქტურის მქონე, მსუბუქი აგებულების თიხნარი და ქვიშნარი ნიადაგები. სტაფილოს მოსაყვანად ნიადაგი უნდა მოიხნას 22-25 სმ სიღრმეზე. გრძელი ძირხვენების მქონე ჯიშებისათვის საუკეთესოა ნიადაგის მოხვნა 28-30 სმ სიღრმეზე. როგორც ძირითადი, ისე დამატებითი გამოკვებისას იყენებენ მხოლოდ მინერალურ სასუქებს - ერთ ჰექტარზე 50-60 კგ აზოტიანი, 60-90 კგ ფოსფორიანი და 60-90 კგ კალიუმიანი სასუქები. ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების 2/3 შეაქვთ

რჩევა ფერმერისთვის – სტაფილოს აგროტექნოლოგია

მზრალად მოხვნის წინ, აზოტიანი და ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების დანარჩენი ნაწილი გაზაფხულზე კულტივაციისა და გამოკვებების დროს.

სტაფილოსათვის საუკეთესო წინამორბედი კუტურებია: კიტრი, კომბოსტო, პომიდორი, ხახვი, საადრეო კარტოფილი, პარკოსნები და სხვ.

სტაფილოს აგროტექნიკა

სტაფილოს გაზაფხულზე დასათესად ნიადაგის დამუშავება ნაკვეთის დასუფთავებით, სასუქების განაწილებით და მზრალად 22-25 სმ სიღრმეზე ხვნით, შემოდგომაზე იწყება. გაზაფხულზე მზრალს 1-2-ჯერ დაფარცხავენ. თესვის წინ, თუ ნიადაგი სარეველებისაგან სუფთაა, მსუბუქი და ფხვიერია, აწარმოებენ კულტივაციას 8-10 სმ სიღრმეზე, ხოლო თუ ნიადაგი მძიმეა, მზრალი უნდა გადაიხნას 15-16 სმ სიღრმეზე, დაიფარცხოს 2-3 ჯერ.

სტაფილოს თესვა, გარდა ადრე გაზაფხულისა, შეიძლება წლის დანარჩენ დროსაც - ზამთარში, ზაფხულსა და შემოდგომაზე.

სტაფილი ზამთარში, ადრე გაზაფხულსა და შემოდგომაზე ნიადაგში არსებული წყლის მარაგის მაქსიმალურად გამოყენებისა და ადრეული მოსავალის მიღების მიზნით ითესება.

სტაფილო ითესება მწკრივებად და ზოლებრივად. ზოლებრივად თესვისას მწკრივებს შორის მანძილია 35 სმ, მწკრივების რაოდენობა ზოლში 4, ზოლებს შორის მანძილი 50-60სმ(35×3+50-60 სმ)/4.

თესლის ჩათესვის სიღრმე თესვის დროზე და ნიადაგის ტიპზე დამოკიდებულებით 1-დან 3 სმ-მდეა. თესვის ნორმა 3,4-4 კგ-ია.

სტაფილოს მოვლა ითვალისწინებს: ნიადაგის გაფხვიერებას, მარგვლას მექანიკურს (თოხნა-კულტივაცია) და ქიმიურს (ჰერბიციდების გამოყენება), ნათესების გამეჩხერებას, მორწყვას, გამოკვებას, ბრძოლას მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ.

დათესვიდან 25-30 დღის შემდეგ, როდესაც მცენარეები მასობრივად აღმოცენდებიან, ტარდება პირველი მარგვლა და გამეჩხერება. მეორე თოხნა გამეჩხერებიდან 2-3 კვირის შემდეგ, სტაფილოს ნათესს თოხნიან მესამედ. მწკრივთაშორისების კულტივაცია განსაკუთრებით ეფექტიანი წვიმების და მორწყვის შემდეგ, ნიადაგის ზედაპირზე გაჩენილი ქერქის დასაშლელად.

მორწყვა ტარდება ვეგეტაციის მანძილზე 4-5-ჯერ, მორწყვის ნორმაა 300-400 მ3ჰა.

პირველი გამოკვება ტარდება გამეჩხერების შემდეგ 3-4 ფოთლის ფაზაში. მეორე გამოკვება, პირველიდან 20-25 დღის შემდეგ. ყოველ გამოკვებაზე ჰექტარზე შეაქვთ 50-80 კგ ამონიუმის გვარჯილა, ამდენივე სუპერფოსფატი და 30-40 კგ კალიუმის ქლორიდი.

სტაფილოს სასაქონლო ძირხვენა უნდა იყოს საღი, დაუხეთქავი, მექანიკური დაზიანების გარეშე, ჯიშისათვის დამახასიათებელი შეფერილობის, 2,5-6 სმ დიამეტრის.

სტაფილოს მეთესლეობა

თესლის მიღების მიზნით უნდა გადაირჩეს მხოლოდ კარგად ფორმირებული, ჯანსაღი ძირხვენები, ჯიშისათვის დამახასიათებელი ფორმით, ზომით და შეფერილობით.

გადარჩეულ ძირხვენებს 1-2 სმ-ით ზემოთ წააჭრიან ფოთლის ყუნწებს და ინახავენ სპეციალურ საცავებში, მაცივრებში ან თხრილებში (ტრანშეებში). შენახვისათვის საუკეთესო ტემპერატურაა 0,5-20C, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 90-95%.

საქართველოს დაბლობ რაიონებში სტაფილოს სათესლეების დარგვა შეიძლება შემოდგომაზე. მცენარეების საიმედო დაცვისათვის ნარგავებს 10-15 სმ სისქეზე მიწას შემოაყრიან.

სათესლეების დარგვის ნორმა ჰა-ზე 30-40 ათასი ცალია. სადედეებს რგავენ კარგად განოყიერებულ ნიადაგებზე, იქ სადაც ბოლო 3-4 წლის განმავლობაში არ მოუყვანიათ სტაფილო ან ამ ბოტანიკურ ოჯახში შემავალი სხვა წარმომადგენელი, სადედე სტაფილოს ძირხვენების მისაღებად კარგი წინამორბედებია: კიტრი, ხახვი, კარტოფილი, პარკოსნები.

გაზაფხულზე სადედე ძირხვენებს რგავენ რაც შეიძლება ადრე. ივითარებს ძლიერ ფესვთა სისტემას და ფოთლების როზეტს, გამოაქვს დიდი რაოდენობით საყვავილე ღეროები და საბოლოოდ იძლევა დიდი რაოდენობით თესლს.

სათესლე ძირხვენებს რგავენ ჩითილის სარგავი მანქანით ან ხელით ტრაქტორის მიერ გაჭრილ ნაპრალებში.

ძირხვენების დარგვისას შეაქვთ მინერალური სასუქები. კვლები (ნაღარები) კეთდება საფხვიერებელი სატეხებით. ძირხვენების დასარგავად გამოიყენება აგრეთვე სასუქების შემტანი კულტივატორი, რომელსაც კვლის გაჭრისთანავე ნაღარებში შეაქვს სასუქი.

მაღალი ხარისხის ძირხვენებად ითვლება ვიწრო გულგულის მქონე ჯიშები, ამიტომ, დარგვის წინ, ძირხვენის სიგრძის ¼ ნაწილს წვეროში წაკვეცავენ, ჭრილში გამოჩნდება გულგულის ზომა და ამ ნიშნით გადარჩეულ ელიტურ და სუპერელიტური ჯგუფის ძირხვენებს ცალკე რგავენ.

სადედეები ირგვება 70 სმ-იან მწკრივებად, მწკრივებში მცენარეებს შოროს 25-35 სმ დაშორებით.

ვეგეტაციის განმავლობაში, ნიადაგი 3-4-ჯერ უნდა გაფხვიერდეს. პირველი გაფხვიერება შედარებით ზერელედ უნდა ჩატარდეს, მეორე და მესამე უფრო ღრმად -12-15 სმ-ზე.

ვეგეტაციის განმავლობაში ნაკვეთი უნდა მოირწყოს 3-4-ჯერ, 300-400 მ3 ნორმით.

პირველი გამოკვება ტარდება დარგვიდან 20 დღის შემდეგ და ჰა-ზე შეაქვთ 100-200 კგ ამონიუმის გვარჯილა; მეორე გამოკვებას ატარებენ ყვავილობის წინ და შეაქვთ150-200 კგ/ჰა სუპერფოსფატი და150-200 კგ/ჰა კალიუმის ქლორიდი.

სტაფილოს თესლი მცენარეზე ერთდროულად არ მწიფდება. სტაფილოს ყვავილედი რთული ქოლგაა. პირველად იშლებიან მთავარი ღეროს ყვავილები, შემდეგ გვერდით. თესლი მწიფდება დარგვიდან 115-125, ყვავილობიდან კი 60-65 დღის შემდეგ. სუპერელიტის გამორჩევისას პირველი და მეორე რიგის ქოლგის ყვავილედების უკეთ მომწიფების მიზნით, გვიან შემოსულ ქოლგებს აცილებენ, რის შემდეგ თესლის თესვითი ღირსებები უმჯობესდება: მატულობს აღმოცენების უნარი და თესლის მასა. ასეთი ღონისძიებების ჩატარება უფრო მისაღებია მკაცრი კლიმატის რაიონებში.

სტაფილოს თესლს იღებენ გამორჩევით, მაგრამ თუ მცენარეზე ქოლგების 40-50% მწიფეა, მაშინ მას იღებენ მთლიანად.

ელიტური მეთესლეობისას ყვავილედებს სუპერელიტის მცენარეებზე ამორჩევით იღებენ, ხოლო მასობრივი მეთესლეობისას სამკალი მანქანებით, აღების შემდეგ მომწიფების დამთავრებისთანავე, თესლებს გალეწავენ სალეწი მანქანით ან კომბაინით.

მცირე ფართობებზე ზოგჯერ მოჭრილ ღეროებს კრავენ ძნებად, გამოშრობის შემდეგ გალეწავენ კომბაინით.

გალეწილ თესლს წმენდენ და სანიავებელი და დამახარისხებელი მანქანებით (პეტკუსებით) დამუშავების შედეგად სტაფილოს თესლნაყოფი იყოფა ორთესლად და სცილდება ზურგის მხარეს განლაგებული საჭერები (ეკლები). სტაფილოს თესლის მოსავალი ჰა-ზე 500-1000კგ-ის ფარგლებშია.

თხილის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები

თხილი საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, რომელიც საშუალებას აძლევს ქვეყანას თხილის მსოფლიო უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში შედიოდეს. თხილის კულტურის წარმოება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონშია განვითარებული. ამ მხრივ, განსაკუთრებით სამეგრელო გამოირჩევა, მას მოსდევს გურია და იმერეთი. 2015 წელს, თხილის მოსავლის რაოდენობამ, დაახლოებით 36.4 ათასი ტონა შეადგინა.

საქართველოში წლების განმავლობაში თხილის ექსპორტი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. ექსპორტის რაოდენობა დამოკიდებულის წლის მოსავალზე. ასევე, თვალსაჩინოა ბაზრების დივერსიფიკაცია და პროდუქციის ასორტიმენტი (თხილის გული, მოხალული თხილის გული, თხილის ფქვილი, თხილის ნაჭუჭი).

თხილს გააჩნია მაღალი ეკონომიკური ღირებულება და წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქტს.

საინვესტიციო შესაძლებლობები

- ახალი ჯიშების ნერგების წარმოება
- წარმოების საშუალებების მიწოდება (მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები და სხვა)
- ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიწოდება
- სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებისა და ხელსაწყოების მიწოდება
- გადამამუშავებელი მოწყობილობების და ტექნოლოგიების მიწოდება (თხილის საბურველის გამცლელი, საშრობი და სხვა)
- თხილის წარმოება
- პროდუქციის შენახვისთვის მომსახურების მიწოდება
- თხილის საშრობისთვის მომსახურების მიწოდება
- დამატებითი ღირებულების შესაქმნელად მომსახურების მიწოდება

დარგვის და მოსავლის აღების პერიოდები

თვეები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
დარგვა												
მოსავლის აღება												

საქართველოში მოსავლიანობის პროცენტული წილი სხვა ქვეყნების მოსავლიანობასთან მიმართებაში			
აზერბაიჯანი	თურქეთი	აშშ	ევროკავშირი
197%	191%	68%	169%

ექსპორტი თვეების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

ექსპორტი წლების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

ძირითადი საექსპორტო ბაზრები (2015 წელი)



წყარო: საქსტატი

სანაცვლო საბაზრო ფასები თვეების მიხედვით - 2015 (ლარი/კგ)



წარმოება წლების მიხედვით (ტონა)



წყარო: საქსტატი

წარმოება რეგიონების მიხედვით



წყარო: საქსტატი

ფინანსური მაჩვენებლები*	
ფართობი (ბაღი)	1 ჰა
ძირითადი საინვესტიციო კაპიტალი	5 700 ლარი
უკუგების პერიოდი	მე-7 წელი
IRR (8 წელი)	19 %